

საქართველო Сакартвело

#1 (10) 2011



საქართველო საქართველო

სარჩევი

- 8 შეხვედრა საქართველოს საელჩოში
Зустріч в Посольстві Грузії
- 11 ვერა ქობალია: 2011 წლის პერსპექტივები და
პრიორიტეტები
Віра Кобалія: Перспективи та пріорітети 2011 року
- 16 «ამაყი ქვეყანა»
«Горда країна»
- 20 ოდესაში ცხოვრობენ არამარტო იუმორისტები, არამედ
ქართველებიც...
В Одесі живуть не тільки гумористи а й грузини...

ЗМІСТ

- 22 საბავშვო გვერდი
- 24 ქუთაისი – საქართველოს მეორე დედაქალაქი
Кутаїсі - друга столиця Грузії
- 30 2011 წელს საქართველოში 3 მილიონამდე უცხოელ
ტურისტს ელიან
У 2011 році в Грузії чекають на 3 мільйони
іноземних туристів
- 36 «ზრიზ ნაციი»: ქალთა დელეგაცია საქართველოს
ესტუმრა
«Зріз Нації»: Жіноча делегація побувала в
Грузії

30.04
18-00



БУДИНОК
ОФІЦЕРІВ

АСОЦІАЦІЯ ГРУЗИН УКРАЇНИ

უკრაინის ქართველთა ასოციაცია

ПРИ ПІДТРИМЦІ ПОСОЛЬСТВА ГРУЗІЇ В УКРАЇНІ


ОРГАНІЗАТОР



З нагоди святкування
15-річчя Культурно-
освітнього центру
Києва

ქართული კულტურის ფესტივალი

ФЕСТИВАЛЬ ГРУЗИНСЬКОЇ КУЛЬТУРИ



ЗАПРОШЕНІ ГОСТІ:
СОФО ХАЛВАШИ
НЕКА СЕБІСКВЕРАДZE
ДАВІТ АРЧВАДZE



ძვირფასო მკითხველებო,

ჟურნალი „საქართველო“ 5 წლის გახდა. ალბათ ეს არც ისე დიდი დროა ერთი გამოცემისთვის, მაგრამ „საქართველოსთვის“ ეს პერიოდი ზრდის, განვითარების, უკრაინაში მცხოვრები ქართველების ქომაგობის, ქართულ-უკრაინული ურთიერთობების გაღრმავების საეტაპო მონაკვეთი გახლდათ. ჩვენი მოკრძალებული მცდელობა, გავმხდარიყავით ხიდი ორი ქვეყნის კულტურას შორის, თანდათან საქმედ იქცა: ჟურნალმა ხელი შეუწყო უკრაინის სხვადასხვა რეგიონში ქართველთა ახალი სათვისტომოების ჩამოყალიბებას, საკვირაო სკოლების დაარსებასა და გამართულ მუშაობას, „საქართველოს“ დახმარებით არაერთმა ჩვენმა თანამემამულემ გაიგო ამ სათვისტომოების შესახებ, შედეგად კი სულ უფრო მეტი ადამიანი ერთიანდება უკრაინაში მოქმედ ქართულ დიასპორებში.

იმედი მაქვს, ზემოთქმულს საკუთარ ღირსებებზე საუბრად არ მიიღებთ – უბრალოდ გვინდა, რომ ჩვენი მუშაობის შედეგი თქვენთვის ერთგვარად ნათელი გაეხადოთ.

საშვილოშვილო საქმეში, რასაც საკუთარი ქვეყნის პოპულარიზაცია და ორ ერს შორის ურთიერთობის გაღრმავება ჰქვია, გვერდში გვიდგას უკრაინაში საქართველოს საელჩო და დიასპორის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატი.

ხალხებს შორის მეგობრობა კონკრეტული ადამიანების ურთიერთობებიდან იწყება და მინდა მადლობა გადავუხადო მათ, ვინც ჟურნალ „საქართველოს“ დაარსების დღიდან მზრუნველობას და მხარდაჭერას არ აკლებს: სწორედ ამ ძალისხმევის წყალობით, წლიდან წლამდე „საქართველო“ უფრო საინტერესო, ინფორმაციული და გამართული ხდება.

როგორც წინა ნომრებში, ისე აქაც იზოვით თქვენთვის საჭირო ცნობებს: ინტერვიუს საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრთან ვერა ქობალიასთან, უახლეს ამბებს საქართველოს მეორე დედაქალაქ – ქუთაისთან დაკავშირებით, ინფორმაციას საქართველოს ტურისტულ პროექტებზე... უკრაინელი შემსრულებლები გაგიზიარებენ საქართველოში მიღებულ შთაბეჭდილებებს. უკრაინელი ქალბატონები მოგიყვებიან საქართველოში სტუმრობაზე, კათალიკოს-პატრიარქთან და პრემიერდენტთან შეხვედრებზე.

მოკლედ, „საქართველოს“ ახალი ნომერი თქვენს განკარგულებაშია.

ველით გამოხმაურებებს და შემოთავაზებებს.

პატივისცემით,
ბესიკ შამუგია



Дорогий читач,

Журналу «Сакартвело» виповнилось 5 років. Мабуть, це не такий великий термін для одного видання, але для «Сакартвело» це був період росту, розвитку, вболівання за грузин, що проживають в Україні, наступний крок поглиблення грузинсько-українських відносин. Наша скромна спроба стати мостом між культурами двох країн потрохи перетворилася

на справу: Журнал посприяв заснуванню в різних регіонах України нових діаспор та недільних шкіл, їх справній роботі, за допомогою «Сакартвело» багато наших співвітчизників дізнались про ці осередки Грузії в регіонах, і в результаті, все більше людей реєструються в місцевих діаспорах.

Маю надію, що не зрозумієте вищесказане як вихваляння – ми просто хочемо дати вам змогу побачити результати нашої праці.

У віковій справі, що називається популяризацією своєї країни та поглибленням відносин між двома націями, поряд з нами стоять Посольство Грузії в Україні та Державний апарат Міністра по справам діаспор.

Дружба народів починається з відносин між конкретними людьми, тому особливо хочу подякувати всім, хто з дня заснування піклується і підтримує журнал «Сакартвело». Саме завдяки цим зусиллям, з року в рік «Сакартвело» стає цікавішим, інформативнішим та досконалішим.

Як і в минулих номерах, тут також знайдете необхідну інформацію: Інтерв'ю з Міністром економіки та сталого розвитку Грузії – Вірою Кобалія, новини щодо другої столиці Грузії – Кутаїсі, інформацію про туристичні проекти Грузії. Українські виконавці поділяться своїм досвідом, отриманим в Грузії, українські пані розповідатимуть про візит в Грузію, зустріч з Патріархом та Президентом.

Одним словом, новий номер журналу «Сакартвело» - у вашому розпорядженні.

Чекаємо на відгуки та пропозиції.

З повагою,
Бесік Шамугія

კიევის ქართული კულტურულ საგანმანათლებლო ცენტრს 15 წელი უსრულდება
 КИЇВСЬКОМУ ГРУЗИНСЬКОМУ КУЛЬТУРНО-ОСВІТНЬОМУ ЦЕНТРУ ВИПОВНЮЄТЬСЯ 15 РОКІВ



1998

2002

2005

2009

2011



1996

2000

2003

2007

2010



შეხვედრა საქართველოს საელჩოში ЗУСТРІЧ В ПОСОЛЬСТВІ ГРУЗІЇ



დიპლომატიური წარმომადგენლობებისა და დიასპორის წარმომადგენელთა შეხვედრა, საქართველოს საელჩოს შენობაში, ორ ნაწილად ჩატარდა. დილიდანვე გაიმართა უკრაინაში აკრედიტებულ საქართველოს დიპლომატიურ მისიათა (საელჩო კიევში, გენერალური საკონსულოები ოდესასა და დონეცკში, საპატიო საკონსულოები - ჟიტომირსა და ლვოვში) ხელმძღვანელებისა და წარმომადგენლების გაერთიანებული შეხვედრა, რომელზეც წარმოდგენილ იქნა დიპლომატიურ მისიათა მიერ გასულ წელს გაწეულ სამუშაოთა ანგარიში, საუბარი შეეხო დასახულ გეგმებსა და ამოცანებს, არსებულ პრობლემებსა და მათი გადაჭრის გზებს, მისიათა შორის კოორდინაციის საკითხებს.

შეხვედრის მეორე ნაწილში, ზემოხსენებულ წარმომადგენლობას შეუერთდნენ სრულიად უკრაინის

Зустріч дипломатичного представництва та представників діаспори відбулась в будівлі Посольства у два етапи. З ранку провели об'єднану зустріч керівників та представників акредитованих в Україні грузинських дипломатичних місій (Посольство в Києві, Генеральні Консульства в Одесі та Донецьку, Почесні Консульства в Житомирі та Львові) на якій було представлено звіт за минулорічну роботу дипломатичних місій, розмова торкнулась й майбутніх планів та поставлених завдань, існуючих проблем й шляхів їх вирішення, питань координації місій.

У другій частині зустрічі, до вищезазначених представництв приєдналися усі без винятку

територіями аreseბული, უკლებლივ ყველა ქართულ დიასპორათა ხელმძღვანელები ქალაქებიდან: დონეცკი, დნეპროპეტროვსკი, ზაპოროჟიე, სუმი, ტერნოპოლი, ლუგანსკი, ოდესა, ხარკოვი, კრივოი როგი, კიევი და სხვა. აღსანიშნავია, რომ საელჩოს ინიციატივითა და ორგანიზებით, უკრაინაში მოქმედ ქართულ დიასპორათა გაერთიანებულ, მსგავსი მასშტაბის შეხვედრას, ბოლო წლების განმავლობაში, ადგილი არ ჰქონია.

დიასპორის ხელმძღვანელებს შესავალი სიტყვით მიმართა საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანმა ელჩმა უკრაინაში ბატონმა გრიგოლ ქათამაძემ, რომელმაც თავისი გამოსვლისას, ხაზი გაუსვა საქართველოში მიმდინარე აღშენებლობით პროცესებს, ქართული დიასპორის ამ პროცესებში მონაწილეობის აუცილებლობას. საქართველოს

კერівники грузинських діаспор на території України: Дніпропетровськ, Донецьк, Запоріжжя, Суми, Тернопіль, Луганськ, Одеса, Харків, Кривий Ріг, Київ та інші. Зазначимо, що в минулі роки з ініціативи Посольства такого масштабу об'єднані зустрічі діючих в Україні грузинських діаспор не проводились.

Зі вступним словом до керівників діаспор звернувся Надзвичайний і Повноважний Посол Грузії в Україні – пан Григол Катамадзе, який у своєму виступі підкреслив розбудовчі процеси в Грузії, обов'язковість участі у них грузинських діаспор. Звернув увагу й на проблему окупованих територій Грузії, необхідність виявлення розумних

ვერა ქობალია: 2011 წლის პერსპექტივები და პრიორიტეტები

ლელა კიკალეიშვილი

ВІРА КОБАЛІЯ: ПЕРСПЕКТИВИ ТА ПРІОРИТЕТИ 2011 РОКУ

Лела Кікалейшвілі



На думку Віри Кобалія, міністра економіки і стабільного розвитку Грузії, головним пріоритетом 2011 року є створення нових робочих місць і збільшення експорту. Як стверджує міністр, капіталовкладення в будь-яку економічну сферу сприяють створенню робочих місць і зміцненню експортного потенціалу.

На прохання журналу "Сакартвело" я вирішила взяти у неї інтерв'ю, оскільки наші співвітчизники, які живуть за кордоном, є не менш зацікавленими в економічних процесах і досягненнях, які відбуваються в Грузії.

Незважаючи на брак часу Віри Кобалія, на її складний режим роботи, вона викроїла час для зустрічі з нами, за що ми їй дуже вдячні.

Кореспондент журналу: Що є пріоритетом в 2011 році для міністерства економіки і стабільного розвитку Грузії?

Віра Кобалія: В минулому році перед Грузією постав серйозний виклик. Країна мала повернутися до показників економічного зростання, які впали внаслідок серпневої війни 2008 року, а потім і світової фінансової кризи. Ці завдання Грузія вирішила. В 2010 році ВВП зріс на 6,4%. Також покращилась ситуація у зовнішній торгівлі, експорт за останній період досяг найвищого показника власне у минулому році і зріс на 40%, в порівнянні щ позаминулим роком.

Збільшення експорту та створення нових робочих місць є головним пріоритетом та головною метою 2011 року.

К.Ж.: Які заходи вживаються в країні для залучення іноземного капіталу?

Віра Кобалія: Інвестиційний прогноз на 2010 рік, який був проведений наприкінці 2009, виявився більш оптимістичним, ніж зафіксовані обсяги прямих іноземних інвестицій в кінці самого року. Хоча мушу зазначити, що впродовж 2010 року інвестиційний прогноз декілька разів корегувався, беручи до уваги такі фактори, які спричинили зменшення інвестицій.

Прогноз як уряду Грузії, так і міжнародних фінансових організацій базувався на дослідженнях, які проводили експерти наприкінці 2009 року. На той час ці очікування виглядали доволі оптимістичними

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრი ქალბატონი ვერა ქობალია საქართველოს მთავრობის 2011 წლის პრიორიტეტებად და მთავარ გამოწვევებად ახალი სამუშაო ადგილების შექმნასა და ექსპორტის ზრდას მიიჩნევს. მინისტრის განცხადებით, საქართველოს ეკონომიკის ნებისმიერ სექტორში ჩადებული თანხა უპირატესად ახალი სამუშაო ადგილების შექმნასა და საქართველოს საექსპორტო პოტენციალის გაძლიერებას ემსახურება.

ინტერვიუს აღება ჟურნალ „საქართველოს“ რედაქციის თხოვნით გადაეწყვიტე, რადგან საზღვარგარეთ მცხოვრები ჩვენი თანამემამულეები არანაკლებ არიან დაინტერესებულნი საქართველოში მიმდინარე მოვლენებითა და ეკონომიკური წინსვლით. საკმაოდ გადატვირთული სამუშაო რეჟიმის მიუხედავად, ქალბატონმა ვერამ მაინც მოახერხა ჩვენთან შეხვედრა, რისთვისაც დიდ მადლობას ვუხდით.

„ჭ.ს“: რა არის საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს 2011 წლის პრიორიტეტები?

ვერა ქობალია: შარშან საქართველო მნიშვნელოვანი გამოწვევის წინაშე იდგა. ქვეყანა უნდა დაბრუნებოდა ეკონომიკის ზრდის იმ მაჩვენებელს, რომელიც ჯერ 2008



об'єднаних зусиль для розв'язання цієї життєво-важливої проблеми. Посол Грузії також оглянув широкий спектр заходів, запланованих Посольством. А саме: питання координації з діаспорами у заходах, присвячених 20-річчю незалежності Грузії (26 травня цього року) з метою раціонального використання творчого потенціалу та можливостей.

Керівники діаспор Грузії під час своїх виступів розповіли присутнім про проведені та заплановані заходи. Розглянули досить широкий спектр проблем. Виступаючи зазначили ріст зацікавленості з боку Міністерства Діаспори Грузії (забезпечення підручниками та навчальними програмами, заснування корисних веб-сторінок та ін.)

Розмова торкнулась обов'язковості проведення перманентних заходів для збереження самобутності етнічних грузин, що проживають в Україні. Також розв'язання питань існуючих в Україні грузинських реліквій (в тому числі догляд та ідентифікація могил відомих грузинських діячів), діючих та запланованих у майбутньому недільних шкіл, існуючих проблем перед творчими ансамблями.

Керівники грузинських діаспор з особливими емоціями підтримали висловлену Послом ідею заснування великого грузинського монастирського комплексу в околицях Києва, - що зіграє реальну об'єднавчу роль для грузин в Україні і буде логічним продовженням реалізованих раніше проектів, таких як: будівництво скверу та пам'ятника Ш.Руставелі та будівлі Посольства Грузії в центрі Києва.

На зустрічі було прийняте рішення про щорічне проведення зустрічей такого формату.

დროებით ოკუპირებულ ტერიტორიებთან დაკავშირებულ პრობლემატიკას — გაერთიანებული, გონიერი ძალისხმევის გამოვლენის აუცილებლობას ამ სასიცოცხლო მნიშვნელობის საკითხის გადასაჭრელად. საქართველოს ელჩმა აგრეთვე მიმოიხილა საელჩოს მიერ დაგეგმილ ღონისძიებათა ფართო სპექტრი. კერძოდ, დამდეგ 26 მაისს, საქართველოს დამოუკიდებლობის 20 წლისთავისადმი მიძღვნილ ღონისძიებებში დიასპორასთან კოორდინირებულ ქმედებათა საკითხები, არსებული შემოქმედებითი პოტენციალის და საშუალებათა რაციონალურად გამოყენების თვალსაზრისით.

ქართულ სათვისტომოთა ხელმძღვანელებმა თავიანთი გამოსვლებისას დამსწრეთ მოუთხრეს გაწეული და დაგეგმილი ღონისძიებების შესახებ. გამომსვლელთა მიერ აღინიშნა



საქართველოს დიასპორის სამინისტროს მხრიდან მათდამი მზარდი მზრუნველობა (სახელმძღვანელოებითა და სასწავლო პროგრამებით უზრუნველყოფა, სასარგებლო ვებ-გვერდების დაარსება და ა.შ.)

საუბარი შეეხო უკრაინაში მყოფ ეთნიკურ ქართველთა მიერ, ეროვნული თვითმყოფადობის შენარჩუნებისათვის სათანადო ღონისძიებათა პერმანენტულად ჩატარების აუცილებლობას, უკრაინაში არსებულ ქართულ რელიქვიათა პრობლემატიკას (ცნობილ მოღვაწეთა საფლავების მოვლა და იდენტიფიცირება), მოქმედი და უახლოეს მომავალში ასამუშავებელი საკვირაო სკოლების და შემოქმედებითი ანსამბლების წინაშე არსებული პრობლემების გადაჭრის საკითხებს.

ქართულ დიასპორათა ხელმძღვანელებმა განსაკუთრებული ემოციით დაუჭირეს მხარი საქართველოს ელჩის მიერ გამოთქმულ იდეასა და ინიციატივას – კიევის გარეუბანში დიდი ქართული სამონასტრო კომპლექსის დაარსებისა და მშენებლობის თაობაზე – რაც ითამაშებს უკრაინაში მცხოვრებ ქართველთა რეალური გამაერთიანებლის როლს და ლოგიკური გაგრძელება იქნება იმ ადრე განხორციელებული პროექტებისა, როგორიცაა: რუსთაველის სკვერის, ძეგლისა და შემდგომში საქართველოს საელჩოს აშენება კიევის ცენტრში.

შეხვედრაზე მიღებულ იქნა გადაწყვეტილება მსგავსი ფორმატის ღონისძიების ყოველწლიურად ჩატარების თაობაზე.

წლის აგვისტოს ომის, შემდეგ კი მსოფლიო ფინანსური კრიზისის გამო შემცირდა. ამ ძირითად გამოწვევას საქართველომ თავი გაართვა. 2010 წელს მთლიანი შიდა პროდუქტი 6.4 პროცენტით გაიზარდა. ასევე გაუმჯობესდა ვითარება საგარეო ვაჭრობაში და ექსპორტმა ბოლო პერიოდში ყველაზე მაღალ მაჩვენებელს სწორედ შარშან მიაღწია და ერთი წლის წინანდელზე 40 პროცენტით მაღალი იყო.

ახალი სამუშაო ადგილების შექმნა და ექსპორტის ზრდა 2011 წლისათვის საქართველოს მთავრობის პრიორიტეტებად და მთავარ გამოწვევებად რჩება.

„ჟ.ს“: რა კეთდება საქართველოში უცხოური კაპიტალის მოსაზიდად?

„ვ.ქ“: 2010 წლის საინვესტიციო პროგნოზი, რომელიც გაკეთდა 2009 წლის მიწურულს, რეალურად აღმოჩნდა იმაზე დიდი ვიდრე წლის ბოლოს დაფიქსირებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოცულობა. თუმცა აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ საინვესტიციო პროგნოზის კორექტირება 2010 წლის განმავლობაში მოხდა რამოდენიმეჯერ, სწორედ იმ ფაქტორების გათვალისწინებით რამაც განაპირობა ინვესტიციების შედარებით ნაკლები მოცულობით შემოდინება.

პროგნოზი, როგორც საქართველოს მთავრობის, ასევე საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციებისა დაფუძნებული იყო იმ მოლოდინებზე, რომლებიც ექსპერტებსა და ბიზნესს გააჩნდა 2009 წლის ბოლოსათვის. იმ ეტაპზე ეს მოლოდინები საკმარისად ოპტიმისტური იყო და მოსალოდნელი იყო კრიზისიდან გამოსვლის ფონზე საინვესტიციო აქტიურობის ზრდაც. თუმცა უკვე გვიან გაზაფხულზე ნათელი გახდა, რომ ეს მოლოდინები არ იყო სწორი. აქ მნიშვნელოვანი როლი ითამაშა ორმა ფაქტორმა: საერთაშორისო ფინანსური კრიზისიდან გამოსვლა ხდებოდა მოსალოდნელზე დაბალი ტემპით, ევროს კრიზისმა კიდევ უფრო შეასუსტა საინვესტიციო მადა და საერთაშორისო კომპანიებს უბიძგა ნაკლებად აგრესიული და მეტად კონსერვატიული საინვესტიციო პოლიტიკის გატარებისაკენ.

საქართველოში, თავის მხრივ, არც ერთი მნიშვნელოვანი მაჩვენებელი, რომელიც გავლენას ახდენს ინვესტიციების შემოდინებაზე არ გაუარესებულა, რამდენადაც ის პრინციპები, რაზეც იყო დამყარებული ქვეყნის ეკონომიკური პოლიტიკა უცვლელი დარჩა. ეს პრინციპებია კერძო სექტორზე ორიენტაცია და ხელსაყრელი, ლიბერალური საინვესტიციო კლიმატის შექმნა.

2011 წელს ჩვენ ისევ ამ პრინციპებს დავეყრდნობით და ამასთანავე გავაგრძელებთ სპეციალური საინვესტიციო შესაძლებლობების შეთავაზებას, როგორც ადგილობრივი, ასევე უცხოელი ინვესტორებისათვის.

ი передбачалось на тлі виходу із кризи зростання інвестиційної активності. Хоча вже наприкінці весни стало зрозуміло, що ці сподівання не були вірними. Тут важливу роль відіграли два фактори, подолання міжнародної економічної кризи проходило більш повільними темпами, ніж очікувалось, і криза євро, яка охопила 2010 рік, що ще більше погіршили інвестиційний клімат, міжнародні компанії стали менш агресивними і почали впроваджувати консервативну інвес тиційну політику.

В Грузії зі свого боку не було жодного вагомого показника, який би впливав на погіршення інвестиційного потоку, оскільки ті принципи, на яких базувалася економічна політика країни, залишилися незмінними. Це принципи орієнтації на приватний сектор та створення і збереження сприятливого ліберального інвестиційного клімату.

В 2011 році ми знову будемо базуватися на цих засадах, паралельно будемо продовжувати пропонувати спеціальні інвестиційні можливості як місцевим, так і іноземним інвесторам. Прикладами таких можливостей є вільні туристичні зони в Кобулєті і Анаклії. Відповідні роботи ведуться й в інших секторах для виявлення існуючих можливостей та пропозицій. Разом з тим беручи до уваги особливості прямих іноземних інвестицій, безумовно важливе значення мають не тільки наші можливості, але й існуючий міжнародний фінансовий та інвестиційний фон, що безпосередньо віддзеркалюється на потоці капіталовкладень у нашу країну.

Уряд Грузії особливу увагу надає створенню інвестиційного клімату і заохоченню інвестування. З цієї точки зору важливою є угода, яка була підписана з одним з відомих у світі інвестором Дональдом Трампом. Згідно неї у Батумі та Тбілісі будуть збудовані трамп-тауери, а в нерухомий сектор Грузії буде вкладено сотні мільйонів доларів США

К.Ж.: Яка сфера найбільше викликає інтерес у інвесторів і якого роду інвестиції планується залучити в недалекому майбутньому?

Віра Кобалія: Кожен долар, вкладений у будь-який сектор грузинської економіки, дає два результати: створення нових робочих місць і зміцнення експортного потенціалу Грузії. Саме тому ми інтенсивно працюємо задля зацікавлення місцевого та іноземного інвестора і залучення їхнього капіталу в країну.

Наведу декілька прикладів, коли завдяки інвестиціям

асეთი შესაძლებლობების მაგალითებია ქობულეთისა და ანაკლიის თავისუფალი ტურისტული ზონები. შესაბამისი მუშაობა მიმდინარეობს სხვა სექტორებში არსებული შესაძლებლობების გამოსავლენად და შესათავაზებლად. ამასთან ერთად, პირდაპირი უცხოური ინვესტიციების თვისებებიდან გამომდინარე, რაღა თქმა უნდა განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს არა მხოლოდ ჩვენს ძალისხმევას, არამედ მსოფლიოში არსებულ ფინანსურ და საინვესტიციო ფონსაც, რაც პირდაპირ აისახება ინვესტიციების შემოდინებაზე ჩვენს ქვეყანაში.

საქართველოს მთავრობა განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს საინვესტიციო გარემოს შექმნასა და ინვესტიციების მოზიდვას. ამ თვალსაზრისით, მნიშვნელოვანია შეთანხმება, რომელსაც ხელი მოეწერა მსოფლიოს ერთ-ერთ ყველაზე მსხვილ და ცნობილ ინვესტორ დონალდ ტრამპთან. შედეგად, თბილისსა და ბათუმში ტრამპ-ტაურები აშენდება, საქართველოს უძრავი ქონების სექტორში კი ასობით მილიონი აშშ დოლარი ჩაიდება.

„ჟ.ს“: რომელი სფერო იწვევს ძირითად ინვესტორთა ინტერესს და უახლოეს მომავალში რა სახის უცხოური ინვესტიციების მოზიდვა იგეგმება?

„ვ.ქ“: საქართველოს ეკონომიკის ნებისმიერ სექტორში ჩადებული ყოველი დოლარი უპირატესად სწორედ ორი სახის შედეგს იძლევა: ახალ სამუშაო ადგილებსა და საქართველოს საექსპორტო პოტენციალის გაძლიერებას. ამიტომაც ვმუშაობთ ინტენსიურად უცხოელი თუ ადგილობრივი ინვესტორების დაინტერესებასა და საქართველოში მათი კაპიტალის მოზიდვაზე. მოვიყვან რამდენიმე მაგალითს, როდესაც ინვესტიციის შედეგად ახალი საწარმო გაიხსნა და ხალხი დასაქმდა.

თბილისთან ახლოს, სოფელ წეროვანში, სადაც 2008 წლის სომარი მოქმედებების შედეგად ცხინვალის რეგიონიდან დევნილი მოსახლეობა ცხოვრობს, ადგილობრივმა მეწარმეებმა პირადი ჰიგიენისა და სარეცხი საშუალებების საწარმო გახსნეს და 200-ზე მეტი ადამიანი დაასაქმეს. მათი აბსოლუტური უმრავლესობა წეროვანში ჩასახლებული დევნილები არიან. საწარმო ჯერ ადგილობრივი ბაზრის ასათვისებლად ემზადება, მაგრამ სამომავლოდ ექსპორტზე პროდუქციის გატანას გეგმავს. კიდევ ერთი მაგალითია სასტუმრო “ჰოლიდეი ინის” გახსნა თბილისის კომერციულად აქტიურ უბანში. ამ ეტაპისათვის სასტუმროს განვითარებაში 28 მილიონი აშშ დოლარის ინვესტიცია ჩაიღო და 160 ადამიანი დასაქმდა.

უცხოური ინვესტიციები პირდაპირ არის დამოკიდებული საერთაშორისო საფინანსო ბაზრებისა და ზოგადად გლობალური ეკონომიკის მდგომარეობაზე. ამ ფონზე, არ არის გასაკვირი, რომ მსოფლიო ფინანსურ კრიზისთან ერთად



ბულო სთვრენი ნოვი პიძპრიემსტვა ი ლუდი ოტრიმალი რობოჩი მიცია. ნეპოდალიკ ვიდი ტბილიცი უ სელი ცეროვანი, დე პროჟივაე ნასელენია – ბიჟენცი ვნასლიდოკ ვიისკოვიხ დიი 2008 როკუ, მიცევი პიძპრიემცი ვიძკრილი პიძპრიემსტვო პო ვიგოთოვლენიუ მიოუჩიხ ჯასობივ ი ჯაბეზპეჩილი რობოჩიმი მიციაми პონად 200 ოსიბ. ნარაზი პიძპრიემსტვო გოთუეწსა დო ოსოეწნია მიცეოვი გო რინკუ, პროტე ნა მაიბუტნე პლანუე ვივეზენნია პროდუქციი ნა ექსპორტ. შცე ოდნიმ პრიკლადო ე ვიძკრიტია გოტელუ “Holiday inn” ვ ოდნო მუ კომერციიწნიხ რაიონივ ტბილიცი. ნა დანიი ჟას უ როვნიტოკ გოტელუ ვკლადენო ინვესტიციი ობსაგო მ 28 მილწიონივ დოლარივ შშა ი ჯაბეზპეჩენო რობოტოუ 160 ოსიბ.

იწოზემნი ინვესტიციი ბეზპოსერედწო ჯალეჟაწ ვიდი მიჟნაროდნიხ ფინანსოვიხ რინკივ ი სწიოვიოი ეკონომიწნიო სიტუაციი ჯოკრემა. ნა ოსნოვი ჯოგო ე ჯროვწილიმ, ჯო უ ჯვწაჟკუ ჯი სწიოვიო ფინანსოვიო კრიზოუ ჯმენშილასწ კილწიკიწ ინვესტიციი უ გრუზიუ. ჯ მეთოუ ვიპრავლენნია სიტუაციი გრუზია ჯაპროპონუვალა პოტენწიწნიმ ინვესტორამ ბეზპრეცედენწნი პოდატკოვი ტა ინშოგო როდუ პილწი. ნაპრიკლად, ინვესტორ, ჯიკიი ჯბუდუე პიძპრიემსტვო უ ვილწნიი პრომიწლოვი ჯონი, ბუდე ჯვილწნენიი ვიდი სპლათი პოდატკუ ნა დოდანუ ვარწიწწ ტა მიწნიხ ჯბორივ. ოკრიმ ტოგო ჯაპრაციოვალი ვილწნი ტურიწიწნი ი ვირწუალწნი ჯონი, დე ბიზწსმენი, კოტრი პლანუიუწ როვპოჩინათი სპრავუ, ოტრიმაჟუწ პოდატკოვი პილწი. ჯ ბოკუ ინვესტორივ პოპულწრნიმი ე ვილწნი ტურიწიწნი ჯონი ვ კობულეტი ი ანაკლიი, დე ბაჟაიოჟო მუ ჯბუდუვათი გოტელ ბეზკოშტოვნო ნადაეწსა ჯემელწა დილწანკა ი ნა 15 როკივ ვიწ ჯვილწნაეწსა ვიდი პოდატკუ ნა პრიბუტოკ ი პოდატკუ ნა მაიწო. პლუს ბაჟაიოჟიი ვკლასტი ინვესტიციი ვ ანაკლიუ ოტრიმაე ბეზკოშტოვნუ ლიწენიუ ნა კაზინო ჯა ომოვი, ჯო ჯბუდუე გოტელ ნა 100 ნომერივ ნა ჯო მუ ჩორწომორსწოკო მუროტი.

ტურიზმ ე ოდნიმ ჯ პრიორიტეწნიხ სეკტორივ გრუზინსწოი

შემცირდა ინვესტიციების რაოდენობაც საქართველოში. ვითარების გამოსწორების მიზნით, საქართველომ პოტენციურ ინვესტორებს უპრეცედენტო საგადასახადო და სხვა სახის შეღავათები შესთავაზა. მაგალითად, ინვესტორი, რომელიც თავისუფალ ინდუსტრიულ ზონაში საწარმოს ააშენებს, გათავისუფლდება ქონების, მოგების, დამატებული ღირებულებისა და საბაჟო გადასახადებისაგან. გარდა ამისა, ამოქმედდა თავისუფალი ტურისტული და ვირტუალური ზონები, სადაც საქმიანობის დამწყები ბიზნესმენები საგადასახადო შეღავათებს მიიღებენ. ინვესტორთა მხრიდან განსაკუთრებით პოპულარულია თავისუფალი ტურისტული ზონები ქობულეთსა და ანაკლიაში, სადაც სასტუმროს აშენების მსურველს უფასოდ გადაეცემა მიწა და 15 წლით გათავისუფლდება მოგებისა და ქონების გადასახადისაგან. ანაკლიაში ინვესტიციის განხორციელების მსურველი კი პლუს უფასოდ მიიღებს სამორინეს ლიცენზიას, თუკი ამ ზღვისპირა კურორტზე მინიმუმ 100–ნომრიან სასტუმროს ააშენებს.

ტურიზმი საქართველოს ეკონომიკის ერთერთი პრიორიტეტული სექტორია. მის განვითარებას განსაკუთრებული ყურადღება ექცევა, რადგან იგი საქართველოში სამუშაო ადგილების რაოდენობის სწრაფად ზრდას იწვევს.

„ე.ს.“: როგორია პრივატიზაციის კუთხით არსებული მდგომარეობა და რამდენად გამართივდა პრივატიზაციის პროცესი?

„ვ.ქ“: 2010 წელს სამინისტროს მიერ პრივატიზების კუთხით მართლაც მნიშვნელოვანი სამუშაოები ჩატარდა, რომელთა შორის გამოვყოფდი:

- „ერთი სარკმლის” პრინციპის დანერგვას, რომელიც უზრუნველყოფს პრივატიზების მაქსიმალურ გამჭვირვალე პროცესებს;
- დაიწყო კომერციული ბანკების მონაწილეობა პრივატიზების პროცესში;
- აქტიურად ვთანამშრომლობთ საქართველოს ბიზნეს ასოციაციებსა და უძრავი ქონების საბროკერო აგენტებთან;
- დაიწყო პრივატიზების პროცესის ელექტრონიზაცია;
- შემუშავდა დებულებები www.eauction.ge–ზე პრივატიზების დეპარტამენტის მოდულების დამატებისთვის, ელექტრონული აუქციონების ჩატარების მიზნით;
- დაიწყო და მიმდინარეობს ელექტრონული ბაზების მოდერნიზაცია, დაინტერესებული პირებისათვის საპრივატიზაციო ობიექტებზე კომბინირებული შეთავაზების განხორციელება;
- დაინერგა მარკეტინგული კომუნიკაციების არხები;
- „სახელმწიფო ქონების შესახებ” საქართველოს კანონში განხორციელებული ცვლილებების შესაბამისად გაუქმდა



ეკონომიკი. Його розвитку надається особлива увага, оскільки він сприяє швидкому зростанню робочих місць.

К.Ж.: А як виглядає ситуація стосовно спрощення процесу приватизації?

Віра Кобалія: В 2010 році було проведено дуже багато значимих робіт, серед яких хотіла б підкреслити наступне:

- впроваджено систему “єдиного вікна”, яка забезпечить максимально прозорі процеси приватизації;
- участь комерційних банків у приватизаційних процесах;
- активно ведеться співпраця з бізнес-асоціаціями Грузії та брокер-агентами з нерухомості;
- розпочато переведення приватизаційних процесів в електронну форму;
- розроблено додаткові засади для приватизаційного департаменту з метою проведення електронних аукціонів на www.eauction.ge;
- розпочата і триває модернізація електронних баз;

საკუთრების მოწმობა და ოქმი—ხელშეკრულება;

- საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში ნასყიდობის ხელშეკრულების საფუძველზე დაიწყო საკუთრების უფლების რეგისტრაცია.

დაგეგმილია 2011 წელს პრივატიზების გზით ბიუჯეტში 150 მლნ. ლარის მობილიზება.

„ე.ს.“: რამდენიმე კვირის წინ ოფიციალური ვიზიტით საფრანგეთში იმყოფებოდით, სადაც მნიშვნელოვანი შეხვედრები გამართეთ საფრანგეთის მთავრობისა და ბიზნეს–წრეების წარმომადგენლებთან. რა იყო შეხვედრის მთავარი მიზანი და რა შეთანხმებები იქნა მიღწეული?

„ვ.ქ“: საფრანგეთი საქართველოს ერთერთი უმნიშვნელოვანესი პოლიტიკური და ეკონომიკური პარტნიორია. როგორც სამთავრობო, ისე ბიზნეს–წრეების წარმომადგენლებთან შეხვედრებისას ჩვენ მათ გავაცანიით იმ წარმატებული შედეგების თაობაზე, რასაც მივაღწიეთ ლიბერალური ეკონომიკური რეფორმების განხორციელების შედეგად. ჩვენთვის მნიშვნელოვანი იყო, რომ საქართველო აუცილებლად მოხვდება ფრანგული სახელმწიფო სააგენტოების ინტერესის არეალში, რაც ეკონომიკის ცალკეული მიმართულებების მხარდაჭერას ითვალისწინებს. სოფლის მეურნეობა, ტურიზმი, ჰიდროენერგეტიკა – ეს არის დარგების მცირე ჩამონათვალი, სადაც უახლოეს მომავალში საქართველოსა და საფრანგეთს შორის იგეგმება თანამშრომლობის გაღრმავება.

ვიზიტის ფარგლებში გვექონდა შეხვედრები სადაზღვევო კომპანიაში "COFACE", აგრეთვე საფრანგეთის თანამშრომლობის სააგენტოს ჯგუფში შემავალ კომპანიაში "PROPARCO", საფრანგეთის საინვესტიციო სააგენტოში და აგრეთვე წამყვანი ფრანგული კომპანიების წარმომადგენლებთან, რომლებიც უკვე ახორციელებენ ბიზნესს საქართველოში ან განიხილავენ შესაძლო ინვესტიციებს საქართველოს ეკონომიკაში. საფრანგეთის საქმიანი წრეების წარმომადგენელთა ჯგუფს საქართველოში უკვე მაისში ველოდებით.

ასევე მნიშვნელოვანი იყო ვიზიტი ნაციონალური ჟანდარმერიის პარიზის საპაერო ბაზის ტერიტორიაზე, სადაც დავათვალიერეთ ულტრათანამედროვე საპაერო ტექნიკა. ჩემთვის მნიშვნელოვანი იყო იმის გაგება, რომ აღნიშნულ უწყებაში შესაძლებელია ქართველი მაშველების მომზადებაც.

„ე.ს.“: რას უსურვებდით ჩვენს ჟურნალს?

„ვ.ქ“: თქვენი ჟურნალი ემსახურება მნიშვნელოვან საქმეს, იღწვის საქართველოსა და უკრაინის ურთიერთობათა გაღრმავებისათვის. ვისურვებთ წარმატებებს.

надається можливість комбінованих пропозицій на об’єктах, які підлягають приватизації для зацікавлених осіб;

- введено комунікаційно-маркетингові канали;
- згідно поправок у законі Грузії про державну власність скасовано свідоцтво на власність і протокол-угоду;

• в єдиному державному реєстрі на підставі угоди про купівлю та продаж розпочато реєстрацію на право власності.

В 2011 році шляхом приватизації до бюджету заплановано мобілізувати 150 мільйонів ларі.

К.Ж.: Кілька тижнів тому Ви перебували з офіційним візитом в Парижі, де проводили зустрічі з представниками уряду Франції та бізнес-колами. Яка була основна мета зустрічі і які досягнуто результати?

Віра Кобалія: Франція є одним з найважливіших політичних та економічних партнерів Грузії. Як під час урядових, так і бізнес-зустрічей ми ознайомили партнерів з тими досягненнями та результатами, які ми маємо внаслідок проведення ліберальних економічних реформ. Для нас було дуже важливим, що Грузія обов’язково потрапить в ареал інтересів французьких державних агенцій, що передбачає підтримку певних економічних напрямків. Сільське господарство, туризм, гідроенергетика – це невеликий перелік галузей, в яких планується поглиблення співпраці у найближчому майбутньому між Грузією та Францією.

У рамках візиту відбулись зустрічі зі страховою компанією COFACE, а також PROPARCO, яка входить в групу агенцій співпраці з Францією, Інвестиційною Агенцією Франції і також з провідними представниками французьких компаній, які вже ведуть бізнес у Грузії або розглядають можливість інвестування у грузинську економіку. На групу представників ділових кіл чекають вже в травні у Грузії.

Також був важливим візит на територію Паризької повітряної бази Національної жандармерії, де ми оглянули ультра-сучасну повітряну техніку. Для мене було дуже цікаво, що на даній базі є можливою підготовка грузинських рятувальників.

К.Ж.: Чого б Ви побажали нашому журналу?

Віра Кобалія: Ваш журнал слугує надзвичайно важливою справою, сприяє поглибленню стосунків між Грузією та Україною. Бажаю Вам успіхів.

«ამაყი ქვეყანა»

ანა ჭიაურელი

«ГОРДА КРАЇНА»

Анна Чіаурелі



სამი წლის წინ საერთაშორისო კონკურსზე „პატრიონოტი“ (პატრიოტული ნოტები) ვალერია სეროვამ და ოლეგ ხარიტონოვმა უკრაინა წარადგინეს სიმღერით „ამაყი ქვეყანა“. სიმღერა ქართველი ხალხისადმი აღფრთოვანებას და სიყვარულს გამოხატავს და 700 ნამუშევართაგან 40 საუკეთესოთა რიცხვში შევიდა.

ცნობილი შემოქმედებითი დუეტი (ოლეგი კომპოზიტორია, ვალერია კი — ტექსტების ავტორი) უკვე 250-ზე მეტი სიმღერის ავტორია და ისეთ ცნობილ შემსრულებლებთან თანაშრომლობს, როგორებიც არიან: ტაისია პოვალი, კატია ბუჟინსკაია, ალექსეი გლიზინი, ნიკოლაი ბასკოვი, პეტრე ჩორნი, აურიკა როტარუ, გალინა, ოქსანა პეკუნი და ა. შ. ოლეგი და ვალერია არა მარტო უკრაინის, არამედ პოსტ-საბჭოთა ქვეყნების ერთ-ერთი უსაყვარლესი და ცნობილი ვარსკვლავები გახდნენ.

მათ ჟურნალ „საქართველოს“ გაუზიარეს საქართველოში მიღებული შთაბეჭდილებები და გაიხსენეს, თუ როგორ მოხვდნენ კონკურსში „პატრიონოტი“.

- როგორ დაიბადა იდეა — ჩაგვწერათ სიმღერა საქართველოზე?

ოლეგ ხარიტონოვი: იდეა ჩვენ კი არ გავგინდა, ეს სიმღერა უკრაინის კულტურის სამინისტრომ ოფიციალურად შეგვიკვეთა. ვალერია სეროვა: საქართველოდან უკრაინის კულტურის

Три роки тому Валерія Серова та Олег Харитонов представляли Україну на Міжнародному конкурсі «Патріоноти» (патріотичні ноти) в Тбілісі. Дует виконав чудову пісню «Горда країна», яка висловила любов і захоплення до грузинського народу і увійшла до списку сорока найкращих із 700 пісень.

Цей відомий творчий дует (Олег композитор, а Валерія автор слів) створив понад 250 пісень і співпрацює з відомими виконавцями: Таїсія Повалій, Катя Бужинська, Олексій Глизін, Микола Басков, Петро Чорний, Ауріка Ротару, Gallina, Оксана Пекун тощо. Автори стали одними з найлюбленіших і відомих творчих тандемів не тільки в Україні, але і у СНД.

Олег і Валерія розповіли журналу «Сакартвело» про те, як вони потрапили на конкурс, про долю пісні «Горда Країна» і поділилися своїми враженнями про країну віцілому.

-Як прийшла ідея записати пісню про Грузію?

Олег Харитонов: Це не нам прийшла ідея, було замовлення від Міністерства культури України.



саміністріаში მოვიდა წერილი, რომელშიც უკრაინულ მხარეს საერთაშორისო მუსიკალურ-პატრიოტულ კონკურსში ეპატიჟებოდნენ. უკრაინასთან ერთად მიიწვიეს შემსრულებლები რუსეთიდან, აზერბაიჯანიდან, ისრაელიდან და ა. შ. ჩვენც დაგვირეკეს კულტურის სამინისტროდან და გვითხრეს, რომ საქართველოზე სიმღერა უნდა დაგვეწერა.

ოლეგი: საჭირო იყო სიმღერა, ჩვენც დაგწერეთ და გადავეცით ისე, რომ არც დავეიქრებულვართ, ვინ შეასრულებდა.

ვალერია: რაღაც დროის შემდეგ ისევ დაგვირეკეს და გვითხრეს, რომ ჩვენ უნდა წავსულიყავით, რადგან არავინ გამოჩნდა ისეთი, ვინც ამ სიმღერას შეასრულებდა, თან ავტორები ჩვენ ვიყავით. ჩვენთვის ეს დიდი სიურპრიზი იყო. ავტორები ვართ და დიდი ხანია პროფესიულ სცენაზე არ ვმდგარვართ, მიუხედავად იმისა, რომ მომღერალი ვარ და ოლეგიც მღერის. ოლეგი 15 წელია სცენაზე არ გასულა.

- სიმღერა პატრიოტული სულისკვეთების გამოვიდა, ვინ გეხმარებოდათ, ვინ მოგიყვათ საქართველოს ისტორიის შესახებ?

ვალერია: კონკურსამდე საქართველოში არც ერთი არ ვყოფილვართ და მასზე მხოლოდ ის ვიცოდით, რასაც ტელევიზორით გადმოსცემდნენ და ამასთან, ბავშვობიდან გვესმოდა. რა თქმა უნდა, ჩვენ არაფერი ვიცოდით უძველეს მცხეთაზე, არც წმიდა ნინოზე. კიდევ კარგი, რომ ახლა კომუნიკაციის ისეთი საშუალება არსებობს, როგორიც ინტერნეტი. სწორედ ქსელის დახმარებით ბევრი რამ გავიგე საქართველოზე, მის ღირსშესანიშნაობებსა და ძველ მითებზე. გამოვიდა, რომ სიმღერის ტექსტის ოთხივე კუპლეტში გამოვხატე ყველაფერი, რისი თქმაც მინდოდა ამ ქვეყანაზე.

- იყო თუ არა რამე პრობლემა ფესტივალზე, გექმნებოდათ თუ არა დაბრკოლება ენობრივი ბარიერის გამო?

ვალერია: რა თქმა უნდა, ამის გამო ვღელავდით, რადგან საქართველო ძალიან განსხვავდება როგორც უკრაინისაგან, ისე სხვა სლავური ქვეყნებისაგან, მაგრამ სიმართლე გითხრათ, არანაირი პრობლემა არ შეგვექმნია. ვფიქრობდით, რომ რუსულ ენასთან დაკავშირებით უარყოფით დამოკიდებულებას წავაწყდებოდით, მაგრამ სადაც არ უნდა შევსულიყავით — კაფეში, მაღაზიასა თუ სასტუმროში — ჩვენი ყველგან ესმოდათ და რუსულად გვესაუბრებოდნენ. რაც მთავარია, ქართულმა მხარემ ძალიან კარგად მიგვიღო.

ოლეგ: ვალერიას ვეუბნებოდი, რომ საქართველოში ძალიან სტუმართმოყვარე ხალხია. ამის შესახებ ჯარში გავიგე, იქ ჩემთან ერთად ბევრი ქართველი მსახურობდა და ყველა მათგანი შესანიშნავი, ინტელიგენტური და მხიარული ადამიანი იყო. ამიტომაც ვფიქრობდი, მიგვიღებდნენ, როგორც თავისიანებს და ასეც მოხდა.

ვალერია: თუ ქართველებს არ იცნობთ, ისინი მკაცრი და სერიოზული ხალხის შთაბეჭდილებას გიტოვებენ, თან შავი ტანსაცმლის ტარება უყვართ. მაგრამ როცა ჩავფრინდით და ანიკო

Валерія Серова: З Грузії прийшов лист до Міністерства культури України, в якому запрошували взяти участь у Міжнародному патріотичному фестивалі. Також туди запрошували виконавців з різних країн: Росії, Україні, Азербайджану, Ізраїлю тощо. Нам подзвонили з Міністерства і сказали, що потрібна пісня про Грузію .

Олег: Потрібна була пісня, ми її склали і віддали, навіть не замислювалися, хто її буде співати.

Валерія: Через деякий час нам знову зателефонували і сказали, що їхати нема кому і повинні їхати ми самі, тому що написали цю пісню. Для нас був це великий сюрприз - ми автори і давно не співали на професійній сцені. Хоч я і співачка, Олег теж співає, але до цього він 15 років не виходив на сцену.

-Пісня вийшла патріотична, хтось допомагав у написанні, розповідав про історію Грузії?

Валерія: До цього ні я, ні композитор Олег Харитонов у Грузії не були і зовсім мало знали про цю країну, тільки те, що говорилося по телевізору і щось чули з дитинства. Звичайно ж, ми не знали ні про стародавню Мцхету, ні про Святу Ніно. Добре, що зараз є такий вид зв'язку як Інтернет, завдяки якому я дізналася багато чого про цю країну, її визначні пам'ятки і стародавні міфи. Вийшло так, що в ці 4 куплета я внесла все те, що хотіла сказати про цю країну.

-Чи виникали якісь проблеми на фестивалі, наприклад мовний бар'єр?

Валерія: Ми, звичайно, хвилювалися з цього приводу, тому що ця країна дуже відрізняється від України та інших слов'янських країн, але як раз ніяких проблем не виникло. Хоча думали, що буде негативне ставлення до російської мови, але куди б ми не заходили: в кафе, в магазини чи в готелі - нас скрізь розуміли і відповідали нам російською. Найголовніше, що нас дуже добре прийняла грузинська сторона.

Олег: Я Валерії казав, що в Грузії дуже гостинні люди. Про це я дізнався, коли служив в армії, зі мною служило багато грузин, і всі вони були чудові, інтелігентні, веселі хлопці. Тому знав, що там приймуть нас як рідних - так і прийняли.

Валерія: Коли не знайомий з грузинами, то вони справляють враження суворих, серйозних людей, ще й люблять носити чорний одяг. Але коли ми туди прилетіли і познайомилися з хлопцями, яких нам відрядило Міністерство культури Грузії, Аніко і Дато - це чудові

და დათო გავიცანით — ახალგაზრდები, რომელთაც საქართველოს კულტურის სამინისტრომ მიგვაბარა — წარმოდგენა შემეცვალა. ჩვენ საქართველოში ორჯერ ვიყავით, კონკურსის ნახევარფინალსა და ფინალზე, ორივეჯერ ყველა ხარკი ქართულმა მხარემ აიღო საკუთარ თავზე, რისთვისაც დიდი მადლობა მინდა გადავუხადო.

– რისი დათვალიერება მოასწარით?

ვალერია: დრო ძალიან ცოტა გვქონდა, მაგრამ მცხეთის დათვალიერება მოვასწარიტ. არც კი ვიცი, მას უკრანაში რა შეედრება. ჩემზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა. ოლეგი: დაგვათვალიერებინეს თბილისი. სხვა ქალაქებში ვერ მოვასწარიტ ჩასვლა, ძალიან ცოტა დრო გვქონდა.

– რა დაგამახსოვდათ ყველაზე მეტად?

ოლეგი: კონკურსი მინიევროვიზიას ჰგავდა. ფესტივალის ორგანიზებით აღფრთოვანებულები დავრჩით. ტელევიზიის თანამშრომლები, რეჟისორები და ზოგადად ორგანიზატორები უმაღლეს დონეზე იყვნენ მომზადებულები. ვალერია: ყველაფერი საათის ერთიანი მექანიზმის მსგავსად მუშაობდა: პირდაპირი ეთერი, კენჭისყრა. ეკრანზე ვხედავდი, თუ რამდენი მოკლე ტექსტური შეტყობინება გამოიგზავნა ჩვენი სიმღერის მხარდასაჭერად. ორგანიზატორებმა ორი ადამიანი მოგვაბარეს ჩვენი გამოსვლისთვის: თავად დადგეს ცეკვაც და შეარჩიეს კოსტიუმები – ეს რეჟისორის გადაწყვეტილება იყო. ისინი ხელში ქართული და უკრაინული დროშებით ცეკვავდნენ.

– ყველაზე მეტად რა მოგეწონათ ქართული სამზარეულოდან?

ოლეგი: ხინკალი – ეს ოცნებაა. სხვა კერძებიც მომეწონა, მაგრამ მათი სახელები არ მახსოვს. ვალერია: უგემრიელესი საწებლები იყო.

– რა ბედი ეწია სიმღერას?

ოლეგი: ეს ერთადერთი შემთხვევა იყო ამ წლების განმავლობაში, როცა ვმღეროდით, ჩვენ ხომ ავტორები ვართ და არა მომღერლები. ვალერია: ჩვენ დაინტერესებულები ვართ, რომ სიმღერა „ამაყი ქვეყანა“ ვილაცამ შესარულოს. შევეცადე კიევში ქართული ანსამბლი მეპოვნა, თუმცა უშედეგოდ, სიამოვნებით გადავცემდით ამ სიმღერას რეპერტუარის გასამდიდრებლად. ოლეგი: საქართველოში დაბტოვეთ ფონოგრამაც და სიმღერის ტექსტიც, რათა გადაეთარგმნათ და ემღერათ. ვალერია: როგორც ვიცი, ყოველი კონკურსის შემდეგ მონაწილეთა სიმღერების დისკი გამოდის. შესაძლოა, ჩვენი სიმღერა დღესაც ცოცხლობს საქართველოში. ოლეგი: ეს სიმღერა უკრაინის ნაციონალური რადიოს ჰიტ-აღლუმებშიც ისმოდა. საქართველოს დამოუკიდებლობის დღეს ჩვენ

ლუდი. მი ტუდი ლიტალი ტაა რაზი ნა პივფინალ ტა ფინალ i vsi ci ტაა რაზი vsi მატერიალნი ვიტრათი სპლათილა გრუზინსკა სტორონა, ჯა ტო iმ ველიკა პოდჯაკა.

–*Де встигли побувати?*

Валерія: Часу було дуже мало, але ми встигли побувати у Мцхета, я навіть не знаю з чим її можна порівняти в Україні. Вона справила на мене велике враження. Олег: Показали Тбілісі, були на оглядовому майданчику. В інших містах не змогли побувати, бо часу не було.

–*Що вам найбільше запам'яталося?*

Олег: Цей конкурс був схожий на міні-євробачення. Ми були вражені організацією кон-курсу, все було бездоганно. Телевізійники, режисери та організація загалом - вищий рі-вень. Валерія: Все працювало як єдиний механізм в годинах: прямий ефір, голосування, на екрані відразу дивишся, скільки смс прислали за твою пісню. Організатори нам дали 2 людини, під час нашого виступу, самі поставили танок и підібрали костюми - це було рішення режисера. Вони танцювали з прапорами грузинським і українським.

–*Що вам сподобалося найбільше в грузинській кухні?*

Олег: Хінкалі - це просто мрія. Інші страви теж сподобалися, але я їх назв не запам'ятав. Валерія: Соуси дуже смачні.

–*Яка доля цієї пісні зараз?*

Олег: Це був єдиний випадок за стільки років, коли ми співали, адже ми композитори, а не співаки. Валерія: Ми зацікавлені в тому, щоб цю пісню хтось співав. Перший рік я намагалася розшукати грузинський ансамбль у Києві, але безуспішно. Ми з задоволенням віддали б цю пісню їм в репертуар. Олег: Хлопцям в Грузії ми залишили фонограму і текст пісні, щоб вони переклали і співали її. Валерія: Наскільки я знаю, після кожного конкурсу випускався диск з піснями - учасниками. Можливо, наша пісня живе в Грузії. Олег: Вона звучала ще в декількох хіт-парадах по національному радіо в Україні. На день незалежності Грузії ми спеціально давали інтерв'ю і пускали цю пісню в ефір на радіо.

საგანგებოდ ჩაეწერეთ ინტერვიუ და ეს სიმღერა გავეუშვით ეთერში.

– **პუბლიკამ როგორ მიგიღოთ?**

ოლეგი: დარბაზმა ტაშითა და აღფრთოვანებით მიგვიღო, ძალიან გვესიამოვნა. კონცერტის შემდეგ სასტუმრომდე გასეირნება გადაწყვიტეთ. ფილარმონიასთან ახლოს მაღაზიაში შევედით, რამდენიმე ადამიანი შემოგვეყვა, შემოგვხედეს და ბოლოს დაიძახეს: „აი, ყოჩაღ!“ . ქუჩაში რომ გამოვედით, ვნახეთ, კონცერტიდან გამოსულები მანქანებიდან ხელს როგორ გვიქნევდნენ და ყვიროდნენ: „ყოჩაღ–ყოჩაღ!“ . ძალიან გვეამა. თვალიწინ თბილისის ტიპური სურათი წარმოგვიდგა. ვალერი: სტუმართმოყვარეობაზე რამდენიმე სიტყვა მინდა დავამატო. ქართველებს იმ უკრაინელებს შევედარებდი, რომლებიც ბუკოვინაში ცხოვრობენ. იქაც ნებისმიერ სტუმარს თავისიანად თვლიან და ასეც ღებულობენ. გუცულებს უყვართ სტუმრების მიღება, მათთვის მნიშვნელობა არა აქვს, რა ენაზე საუბრობს ადამიანი. ალბათ, სტუმართმოყვარეობაზე გავლენას მთები ახდენენ.

ამაყი ქვეყანა	ГОРДАЯ СТРАНА
მსოფლიოს უძველეს ერს, თავისუფალ და ამაყ ხალხს, უხსოვარი დროიდან დღემდე წმინდა ნინო იფარავს.	Древнейшую нацию мира, Свободный и гордый народ Из давних времён и поныне Святая Нино бережёт.
გამარჯობა, მაღალო მთებო, მხარეო მშვენიერი ბაღების და ვაკის, ორ ზღვას შუა მთებმა და მხარემ შემოინახა ყველა ზღაპარი.	Гамарджоба, высокие горы, Край роскошных садов и долин; Дивный край, что от моря до моря Сохранил все легенды свои.
ო, საქართველო, საოცარია სილამაზე შენი, ო, საქართველო, გახსენი მკლავები მეგობრებისთვის, ო, საქართველო, იცოცხლე და აყვავდი საუკუნოდ, თავისუფალო და ამაყო ქვეყანავ!	О, Грузия, Неповторима красота твоя! О, Грузия, Раскрой друзьям свои объятия! О, Джорджия, Живи и процветай столетия, Свободная и гордая страна!
თბილისი და უძველესი მცხეთა შენი დიდების მოწმენი არიან, ვთქვათ სადღეგრძელო წინაპრებისთვის, მშვიდობისა და მეგობრებისთვის.	Тбилиси и древняя Мцхета - Свидетели славы твоей. Поднимем же чаши за предков, За мир и за добрых друзей!
ბევრი განსაცდელი გამოიარე, მტრულ ტომებს გადაეყარე, მაგრამ მათ მუდამ სძლევდი ამირანის ცეცხლოვანი ხმლით.	Ты прошла испытаний немало, Сквозь набеги враждебных племён; Но всегда ты врагов отражала Амираны могучим мечом.

–*Як вас прийняла публіка?*

